**უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო**

18/06/2026

MES 6 26 0000754980

გადაწყვეტილება

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან მიმართებით წარდგენილ საჩივართან დაკავშირებ ით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის (2026 წლის 08 იანვრის №4374 განცხადება), დაწესებულების მიერ წარმოდგენილ კორესპონდენციაში ასახული ინფორმაციის და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 04 ივნისის სხდომაზე დაინტერესებული მხარეების მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტთან (ს/კ: 400028849) მიმართებით წარდგენილ საჩივართან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 18 ივნისის №754949 სხდომის ოქმის მეექვსე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში,

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე
გონაშვილი ვასილ

ელექტრონული
ზეპირსიტყვიერი